პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 241 (3980)

1969 წ. 11 დეკემბერი. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ვიქტორ გოგლიძის მემორიალი

დღეს რომ ქართველები ჩვენი მოჭადრაკეების თვალსაჩინო წარმატებებით ვამაყობთ, ამაში ცოტა წვლილი როდი მიუძღვის სასიქადულო მოჭადრაკეს ვიქტორ გოგლიძეს (1905-1964 წ. წ.). საჭადრაკო სამყარო თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე მოწმე იყო მისი შთამაგონებელი თამაშისა სსრ კავშირის ჩემპიონატებში და საერთაშორისო ტურნირებში.

როგორც მოქალაქე და მოჭადრაკე, ვ. გოგლიძე მუდამ იყო მისაბაძი მაგალითი ახალგაზრდობისთვის. მან ბევრს შეაყვარა ბრძნული თამაში, როცა 1930 წელს ქართველთა შორის პირველმა მოიხვეჭა სპორტის ოსტატის წოდება ჭადრაკში.

ვ. გოგლიძის თაოსნობით ბევრი გაკეთებულა ქართული ჭადრაკის საკეთილდღეოდ. საკმარისია ითქვას, რომ მთელს საბჭოთა კავშირში პირველად თბილისში გაიხსნა ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა, რომელიც დღესაც განაგრძობს საშვილიშვილო საქმეს.

სპორტის დამსახურებული ოსტატისა და საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძის სახელი არასოდეს დავიწყებია ჩვენს ხალხს. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტისა და ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით დასაბამი ეძლევა მისი სახელობის საჭადრაკო მემორიალს — თბილისის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს.

ვ. გოგლიძის მემორიალში, რომელიც 15 დეკემბერს დაიწყება თბილისში, ბევრმა ცნობილმა მოჭადრაკემ ისურვა მონაწილეობა. წინასწარი მონაცემებით, ტურნირში ითამაშებენ: საბჭოთა დიდოსტატები მ. ტალი, ე. გუფელდი, ა. გიპსლისი, ნ. კროგიუსი, რ. ხოლმოვი, ა. სუეტინი, ა. ლეინი, ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ვ. ჰორტი, საერთაშორისო ოსტატები — იუგოსლაველები დ. მინიჩი, ა. ბლანინცი, რუმინელი ვ. ჩოკილტია, პოლონელი ვ. კოსტრო, უნგრელი ე. ჰააგი, რუმინელი ოსტატი პ. საბო, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები — საქართველოსა და თბილისის მრავალგზის ჩემპიონები, საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე და ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი.

ტურნირში მოწვეული იყო სსრ კავშირის სტუდენტ მოჭადრაკეთა ჩემპიონი, ოსტატი თ. გიორგაძეც, მაგრამ მას ჭადრაკის საკავშირო ფედერაცია დიდოსტატ ვ. სმისლოვთან ერთად ინგლისში გზავნის ჰასტინგსის საშობაო საჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

თ. გიორგაძე.

„სპარტაკმა“ — 0:3

დამასკო, 8 დეკემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის „სპარტაკი“ აქ სირიის არმიის ფეხბურთელთა ნაკრებთან დამარცხდა — 0:3.



ორთაბრძოლა.

ფოტო კ. კრისტოვისა (გფრ). („პრავდა“).

ახალი სარბოლო მანქანები



ზაპოროჟიეს საავტომობილო ქარხანა „კომუნარში“ ააგეს ახალი სარბოლო მანქანა „იუნოსტი“. ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა „ზაპოროჟეცის“ ბაზაზე შექმნეს „ზაზ-966“-ის მოდელი, რომელსაც 50 ცხენის ძალის სიმძლავრის ფორსირებული ძრავა აქვს. სარბოლო მანქანის სიჩქარე საათში 163-170 კილომეტრია. მან უკვე მიიღო მონაწილეობა საკავშირო საგზატკეცილო-წრიულ ავტორბოლებში ლენინგრადსა და მინსკში.

ახლა ქარხნის კონსტრუქტორები მუშაობენ სარბოლო მანქანის კიდევ უფრო სრულყოფილ მოდელზე. უახლოეს მომავალში საბჭოთა კავშირის სპორტსმენ-მრბოლელები სამამულო წარმოების ახალ ორიგინალურ მანქანებს მიიღებენ.

• • •

სურათზე: სარბოლო ავტომანქანა „იუნოსტი“.

ფოტო ა. კრასოვსკისა (საკდესი).

სამჭიდში — 600 კილოგრამი?

სერჟ რედინგს — ეროვნული პრიზი

ბრიუსელი, 10 დეკემბერი. ეროვნული პრიზი „სპორტული დამსახურებისთვის“ ბელგიელ ძალოსანს, ევროპის ჩემპიონ ს. რედინგს მიენიჭა. ამ სასიხარულო ცნობის მიღების შემდეგ სამეფო ბიბლიოთეკის თანამშრომლის რედინგის მწვრთნელმა ა. დიუპონმა თქვა, რომ გაისად ამ ფენომენალურ ათლეტს შეუძლია მსოფლიოს საუკეთესო ძალოსანი გახდეს. „ჩვენ მიზნად დავისახეთ სამჭიდში 590 კილოგრამის მოგროვება“, — გაზეთ „დერნიერ ერში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში განაცხადა მწვრთნელმა. — მაგრამ ყველა საფუძველია ვივარაუდოთ, რომ რედინგი დედამიწაზე პირველი ადამიანი იქნება, ვინც 600-კილოგრამიან ზღვარს მიაღწევს“.

იასე სიხარულიძის ოქროს დაშნა

ლენინგრადი, 9 დეკემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის იუნიორ მოფარიკავეთა პირადგუნდური პირველობა. თვით დარტანიანსაც შეშურდებოდა ახალგაზრდა მუშკეტერების სიმარდე, ტემპერამენტი და ოსტატობა. ამ ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ოთხასამდე ჭაბუკმა იასპარეზა.

როცა დაშნით მოფარიკავეებმა ფინალური ბრძოლები დაამთავრეს, ჩემპიონის ვინაობა მაინც არ იყო ცნობილი. თბილისელმა სტუდენტმა, 19 წლის იასე სიხარულიძემ და მისმა თანატოლმა, დონეცკელმა ვიაჩესლავ სიროვატკომ მოგებათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს. მათ შორის დაინიშნა დამატებითი ბრძოლა. აქ თბილისელმა იმარჯვა და საბჭოთა ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონის სახელიც მოიპოვა.

რაპირისტ გოგონათა შეჯიბრებაში სასიამოვნო სიურპრიზი იყო 17 წლის მოსკოველი მოსწავლის ნ. ბუჩნევას გამარჯვება. ჭაბუკებში ყველას აჯობა კიეველმა ა. ვოლოშინმა.

ესპადრონით ასპარეზობაში I ადგილი ოდესელმა ე. გუსელნიკოვმა დაისაკუთრა.

ტურნირმა, რომელიც მოზრდილთა საკავშირო ჩემპიონატის გაგრძელება იყო, ზოგიერთი კორექტივი შეიტანა გუნდური ადგილების განაწილებაში. I ადგილი წილად ხვდა რსფსრ-ს ძლიერ კოლექტივს, II — უკრაინის მოფარიკავეებს, III — ბელორუსიელებს.

ხარკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროში სარბოლ ავტომანქანებზე მუშაობენ.

ამ ბიუროს ბოლო ნამუშევრებია „ხადი-7“ და „ხადი-8“. „ხადი-7“ გარეგნული ფორმით ჩიტს მოგვაგონებს. ძარა დახურულია, ძრავა — გაზტურბინისა. მანქანა საათში 450 კმ სისწრაფეს ანვითარებს.

„ხადი-8“ პირველი საერთაშორისო კლასის მანქანაა და მისი ძრავის სიმძლავრე 220 ცხენის ძალას უდრის. ჩვეულებრივ გზებზე მანქანა საათში 300 კმ სისწრაფეს ანვითარებს.

სურათებზე: „ხადი-7“ და „ხადი-8“.

ფოტო ა. ტატარენკოსი (საკდესი).



საგანგაშო ზარი

საბჭოთა მოცურავეები 17 წლის წინათ გამოვიდნენ საერთაშორისო სარბიელზე. ამ ხნის განმავლობაში, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ საწყალოსნო ბილიკების ოსტატებს ძალიან ცოტა ჯილდო ხვდათ. ბოლო ხუთ ოლიმპიურ თამაშებში მათ ვერც ერთხელ ვერ გაუწიეს ჯეროვანი მეტოქეობა აშშ-სა და ავსტრალიის მოცურავეებს, რომლებსაც რეგულარულად მიჰქონდათ შინ ოლიმპიურ ჯილდოთა უმეტესი ნაწილი. მექსიკის ოლიმპიადაში ამერიკელმა მოცურავეებმა თავიანთ გუნდს მოუტანეს 315 ქულა, ხოლო საბჭოთა მოცურავეებმა, რომლებმაც 111 ადგილი დაიკავეს, მხოლოდ 61. მართალია, ისინი ევროპელ მეტოქეებზე უკეთ გამოვიდნენ და ყველას ეგონა, რომ კონტინენტის მასშტაბით შემდგომშიც წინ იქნებოდნენ, მაგრამ არ გასულა ერთი წელიც, რომ საბჭოთა მოცურავეების პრესტიჟი საგრძნობლად შეირყა: ევროპის თასზე ორი მთავარი პრიზი მათ გდრ-ის ქალთა და ვაჟთა გუნდებს გადაულოცეს.

ამრიგად, თუ ერთი წლის წინ საბჭოთა მოცურავეებმა მხოლოდ აშშ-სა და ავსტრალიის წარმომადგენლებთან წააგეს, ახლა მათ ევროპის კონტინენტზეც დაკარგეს ლიდერობა. ამ შეჯიბრებების შედეგები დიდი ყურადღების ღირსია, თუ მათ განვიხილავთ, როგორც პირველ ნაბიჯს მომავალი ოლიმპიადისთვის მზადების თვალსაზრისით.

რა მოხდა? რად დათმეს პოზიციები საბჭოთა მოცურავეებმა?

პირველ ყოვლისა თვალში გვეცემათ ის ამბავი, რომ სეზონის ყველაზე საპასუხისმგებლო შეჯიბრების დროს ლიდერთა უმრავლესობა სპორტულ ფორმაში არ იყო. პირადი მიღწევები რომ ეჩვენებინათ, მოცურავეები იოლად მოიპოვებდნენ ევროპის თასს. რამ შეუშალა ხელი ჩვენს სპორტსმენებს ისეთი სისწრაფის ჩვენებაში, რომელიც მათთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო? ბევრი სპეციალისტი ამ წარუმატებლობას წლევანდელ შეჯიბრებათა უხეირო კალენდარს მიაწერს. საკამათო არაა, სტარტები ძალიან ცუდად იყო დაგეგმილი, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრების წევრები ვერ იჩივლებენ, შეჯიბრებებით სული ამოგვართვესო. პირიქით, ისინი ნაკლებად მონაწილეობდნენ ასპარეზობებში.

დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა მოცურავეების ჩამორჩენის მიზეზად აუზების ნაკლებობას მიიჩნევდნენ. მაგრამ მე მინდა ყურადღება მივაქციო შემდეგ ფაქტს: წლეულს გდრ-ის მწვრთნელების განკარგულებაში 33 დახურული აუზი იყო, ხოლო სსრ კავშირში 230 ასეთი ბაზა არსებობს. ვფიქრობ, დაბალ შედეგებს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც ორი სიტყვით ასე აიხსნება: ნაკლები კონკურენცია.

გავიხსენოთ, როგორ მიმდინარეობდა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი ხარკოვში: მოსაწყენად, ერთფეროვნად, ურეკორდებოდ. თუმცა, იმ დროს (ეს იყო ივლისის დასაწყისში) ნაკრების წევრებისგან რეკორდებს არ ელოდნენ, რადგან მათ ის-ის იყო დაამთავრეს საერთო ფიზიკური მომზადების პერიოდი. სისწრაფის ხარისხის დამუშავებას ისინი პრაქტიკულად არ შედგომიან, თუმცა გაუჭირვებლად იმარჯვებდნენ დისტანციებზე. რას აკეთებდნენ მათი მეტოქეები, რომლებისთვისაც ქვეყნის პირველობა სეზონის მწვერვალი უნდა ყოფილიყო? სამწუხაროდ, არავის ეყო გამბედაობა, რომ თავდაუზოგავი ბრძოლა გაემართა ფავორიტებისთვის.

ასეთი ატმოსფერო ნაკრების სპორტსმენებს მთელი დაძაბვით ვარჯიშს არ აიძულებდა. ბევრი მათგანი ნებსით თუ უნებლიედ ახლანდელ სეზონს თვლიდა ჩვეულებრივ სეზონად, სადაც შეიძლება ცოტა სული მოითქვა ოლიმპიადის შემდეგ. მაგრამ ცურვაში დიდი ხანია დრო მოჭამა ასეთმა სეზონებმა. გდრ-ის მოცურავე ვაჟებმა და ქალებმა თვალნათლივ დაამტკიცეს ეს ევროპის თასისთვის ბრძოლის დროს.

კონკურენციის პრობლემა — ეს რეზერვის პრობლემაა. იძულებული ვართ დავამტკიცოთ, რომ საბჭოთა სპეციალისტებმა ვერ მიაღწიეს არსებით წინსვლას ამ საქმეში. სსრ კავშირში შექმნილია ბავშვთა, ახალგაზრდობის ცურვის ბევრი სპეციალიზებული სკოლა. ამ სკოლებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. თეორიულად ყველაფერი შესანიშნავად იყო, მაგრამ პრაქტიკულად სკოლებიდან ნაკრებს არსებითი დახმარება ჯერ არ მიუღია. ხომ არ ნიშნავს, რომ ასეთი სკოლების შექმნის იდეამ ვერ გაამართლა? რასაკვირველია, არა. მხოლოდ იდეა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. იგი უნდა გაამაგრო ორგანიზაციული ზომებით, ნიჭიერი შემსრულებლებით.

უზრუნველყო სკოლა წყლის საჭირო რაოდენობით აუზში, მისი აღსაზრდელებისთვის შექმნა საზაფხულო საწვრთნელი ბანაკი, დააკომპლექტო შტატი კვალიფიციური სპეციალისტებით — ყველაფერი ეს საკმარისი არაა. უნდა ვიფიქროთ ბავშვებზე, რომლებსაც ამ სკოლაში დიდი დატვირთვა ელით. წვრთნა და შეჯიბრებები ნორჩი სპორტსმენებისგან ფიზიკური და მორალური ძალის დიდ მარაგს მოითხოვს. როგორ მოვიქცეთ, აუზში ვარჯიშმა ცუდად რომ არ იმოქმედოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლაზე? ამ საკითხის გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული ცურვის სკოლების მუშაობის ხარისხი.

რაში გამოიხატება ამ სკოლების აღზრდილთა უმრავლესობის ნაკლი? იმაში, რომ ისინი მზად არიან ისეთი დატვირთვებისთვის, რომლებითაც მსოფლიოს საუკეთესო მოცურავეები ვარჯიშობენ. ეს იმიტომ, რომ ბევრი ჩვენი მწვრთნელი ბავშვებს უმთავრესად მოკლე მონაკვეთებზე — 25, 50, 100 მეტრზე ავარჯიშებს, თანაც ბავშვები ამ დისტანციებზე უფროსებთან შედარებით ძალიან ცოტას ცურავენ. წამყვანი საზღვარგარეთელი სპეციალისტები კი, პირიქით, ბავშვებთან მუშაობას გრძელი დისტანციებით იწყებენ და თანდათან გადადიან მოკლეზე, ამასთან, აღსაზრდელებს დიდ დატვირთვებს აძლევენ.

ამ მხრივ საინტერესოა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის ა. გოტვალესის აზრი, რომელიც ფრანგ მოცურავეთა ჯგუფთან ერთად გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთობლივი წვრთნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. „ამერიკელები დღეში სამჯერ ვარჯიშობენ, — თქვა მან. ასეთი ვეებერთელა სამუშაო რომ შემესრულებინა, ან მსოფლიო რეკორდსმენი ვიქნებოდი ყველა დისტანციაზე, ან ცოცხალი ვერ გადავრჩებოდი. აშშ-ს ნაკრებში ათეულობით მოდიან და ათეულობით მიდიან, რადგან დატვირთვას ვერ უძლებენ. დარჩენილები შესანიშნავი მოცურავეები გამოდიან“.

ევროპის თასზე შეჯიბრებაში მოცურავეთა მარცხი იმაზე მეტყველებს, რომ სსრ კავშირის ცურვის სპორტის ორგანიზაციაში დაგროვდა ბევრი პრობლემა, რომლებიც სწრაფად უნდა გადაიჭრას. ეს კი, პირველ ყოვლისა, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება, მოსწავლეთა შორის ცურვის მასობრივი დანერგვა, მაღალი კლასის ოსტატთა მომზადების სისტემის დამუშავება და განხორციელებაა.

ამ ამოცანათა გადაწყვეტის გზები მოცემულია ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის დადგენილებაში „სპორტული ცურვის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. თუ წინათ ყოველ აუზში სპორტსმენთა მომზადება სხვადასხვაგვარად ხდებოდა, ახლა შექმნილია „დებულება სსრ კავშირში მოქმედი აუზების მუშაობის თაობაზე“. იმ მიზნით, რომ მაღალი კლასის მოცურავეთა მომზადებისთვის ვალდებული ყველა შესაბამისი ორგანიზაციის დაინტერესება ავამაღლოთ, ჩატარდება აუზებში სასწავლო-სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკავშირო კონკურს-დათვალიერება. განზრახულია, აგრეთვე, გადიდდეს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცურვის სპეციალიზებული სკოლების რიცხვი, რომლებშიც 16-17 წლის მოზარდებმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივები უნდა შეასრულონ. დამტკიცებულია სსრ კავშირის ყველა სპორტული ორგანიზაციისთვის სავალდებულო შეჯიბრებათა ერთიანი სისტემა. ერთი სიტყვით, დასახულია საბჭოთა ცურვის განვითარების გენერალური კურსი.

წლევანდელი სეზონი სსრ კავშირის ნაკრებმა უფროსი მწვრთნელის გარეშე ჩაატარა. ორი წლის შესვენების შემდეგ გუნდს კვლავ ჩაუდგა სათავეში კ. ინიასევსკი, რომელიც ნაკრებს ევროპის ბოლო ორ ჩემპიონატში და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ხელმძღვანელობდა. ინიასევსკი მკაცრი, მომთხოვნი კაცია და ეჭვი არ არის, რომ დიდ შეჯიბრებებში მისი აღზრდილებიდან ვერავინ „გაბედავს“ თავისი შესაძლებლობაზე უარესად გამოსვლას. საქმე მარტო ინიასევსკის ხასიათში როდია. მთავარია მისი უნარი: გადამწყვეტი სტარტების წინ გუნდი საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდეს.

ნათელია, რომ ბუდაპეშტისა და ვიურცბურგის აუზების საგანგაშო ზარმა მარტო ნაკრების მწვრთნელებისთვის როდი დარეკა. ყველა სპეციალისტის ერთსულოვან საქმიანობას შეუძლია დახმარება გაუწიოს საბჭოთა მოცურავეებს, რათა მათ მოკლე დროში აღიდგინონ პრესტიჟი ევროპაში (გაისად ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში გაიმართება კონტინენტის მორიგი ჩემპიონატი), ღირსეულად გამოვიდნენ მომავალ ოლიმპიადაში.

ბ. ჩერნი[illegible],
სპორტის ოსტატი.

◆ სოხუმი

„დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა ქალაქის თასის გათამაშება ფეხბურთში. საბჭოთა კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრების წინასწარ თამაშებში მოპოვებულ გამარჯვებათა შემდეგ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნორჩ დინამოელთა და „ტრუდის“ გუნდები. დინამოელებმა დამატებით დროში გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს — 2:1.

გ. პოლოსიანი.

◆ გულრიფში

ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის სტადიონზე გაიმართა საქართველოს ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდების მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ გულრიფშის „ნარინჯოვანი“ და ბოლნისის საბჭოთა მეურნეობის ნაკრები. გაიმარჯვეს გულრიფშელებმა — 1:0.

შ. ჯალალონია.

◆ ასპინძა

რაიონის მოშაშეთა პირველობა, რომელშიც 46 კაცი მონაწილეობდა, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა სოფ. ნაქალაქევის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრმა დ. მაისურაძემ. II ადგილი ხვდა სოფ. ჰობარეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ავტომძღოლს ა. ჯვარიძეს, III — სოფ. ჰობარეთის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელს შ. ბერიძეს.

ვ. ცინაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

მონაწილეთა ცნობა ჭირდა

სოხუმში ერთ თვეს ვარჯიშობდნენ სსრ კავშირის საუკეთესო მოტოკროსმენები. ისინი ემზადებოდნენ ტურნირისთვის, რომელსაც ქვეყნის ნაკრების კანდიდატები უნდა შეერჩია.

ტრადიციულად ასეა: მოტოკროსში შეჯიბრების პერიოდში მუდამ გადაუღებელი წვიმებია, რაც ტრასას კიდევ უფრო ართულებს და მსაჯებსაც საქმეს უძნელებს, ვინაიდან ორიოდე წრის შემდეგ მანქანებზე ნომრების გარჩევა კი არა, ტალახში ამოვლებული სპორტსმენების ცნობაც ჭირს. ასე იყო ახლაც, მაგრამ ტურნირმა საინტერესოდ, მაღალ დონეზე ჩაიარა.

მონაწილეთ 2-2 ცდის უფლება ეძლეოდათ. 250 და 500 კბ სმ მოცულობის მანქანებმა სტარტი ერთდროულად აიღეს. პირველობა მოიპოვა სპორტის ოსტატმა ვ. კავინოვმა (საბჭოთა არმია). II ადგილი წილად ხვდა მის თანაგუნდელს, სპორტის ოსტატ ა. კიბირინიას, III — რიგელ ვ. დონისს (არმიის სპორტული კლუბი).

საუკეთესოებს აფხაზეთის კომკავშირისა და დოსააფის საოლქო კომიტეტების ფასიანი საჩუქრები გადასცეს მოტოსპორტის ვეტერანებმა, სოხუმელმა სპორტის ოსტატებმა ს. რუხაძემ, ბ. ციბინმა და აფხაზეთის დოსააფის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა ნ. უსოვმა.

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.



სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

ფოტო გ. მელიქიანისა.

მონდომების ნაყოფი

ბათუმის ყრუ-მუნჯთა საზოგადოებაში ფიზკულტურული საქმიანობა ერთ დროს მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგ, როცა კოლექტივს სათავეში ჩაუდგა ფიზკულტურის მეთოდისტი, საქართველოს სპორტის ოსტატი ნ. შანიძე, საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამჟამად ყრუ-მუნჯთა ფიზკულტურულ კოლექტივს ერთ-ერთ მოწინავედ თვლიან „სპარტაკის“ აჭარის საბჭოში.

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების თავმჯდომარე ო. შანიძე და კლუბის გამგე ლ. ძნელაძე სპორტის ენთუზიასტები არიან. ისინი გამოცდილებას და მონდომებას არ იშურებენ, რათა სპორტსმენებს ყველა პირობა შეუქმნან მასობრივი ფიზკულტურული საქმიანობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის. ახლა თითქმის ყველა მუშა ჩაბმულია სხვადასხვა სექციაში, გადაჭარბებით სრულდება თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების წლიური გეგმა.

კარგად მუშაობენ კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ლელოს, ჭადრაკის, შაშის, მაგიდის ჩოგბურთის, ტყვიის სროლისა და თევზაობის სექციები.

წლევანდელი სეზონი ყრუ-მუნჯმა სპორტსმენებმა განსაკუთრებული წარმატებით დაიწყეს. „სპარტაკის“ აჭარის საოლქო საბჭოს სპარტაკიადაში გუნდური III საპრიზო ადგილი დაიკავეს და საშემოდგომო კომკავშირულ-პროფკავშირულ მძლეოსნურ კროსში საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ.

ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო ტურნირები, ტურისტული ლაშქრობანი. ამას წინათ ჩატარდა ლაშქრობა მთა ცისკარაზე. ლაშქრობაში 100-მდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა. ეს ღონისძიება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ყველაფერი კალათბურთზე

ციფრები და ფაქტები

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის გეოგრაფია ყოველ წელს იზრდება. შარშან უმაღლესი ტიტულისთვის გამართულ ბრძოლაში ჩაბმული იყო ჩვენი ქვეყნის 8 ქალაქი, წლეულს ოქროს მაძიებელთა რიცხვი ერთი კოლექტივით გაიზარდა.

მაგრამ კალათბურთი ყველგან ერთნაირად პოპულარული როდია. ბალტიისპირეთის ქალაქებში სპორტის ამ სახეობას ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ იქ არ არის ისეთი დიდი დარბაზები (კაუნასის გარდა), რომ ყველა მსურველს მოემსახუროს.

ზოგან კალათბურთს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ამიტომაც ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრებს მეორეხარისხოვან დარბაზებში ატარებენ. ასე ხდება ალმა-ათაში, სვერდლოვსკში და, რაც ყველაზე მეტად უცნაურია, მოსკოვში. მან, ვინც კალათბურთს დიდი დარბაზების კარს უკეტავს, ალბათ არ იცის, რომ სპორტის ყველაზე ძლიერი პროპაგანდისტი შეჯიბრებაა.

და მაინც, კალათბურთის აუდიტორია, მისი გეოგრაფიის მსგავსად, ყოველ წელს იზრდება. შარშანწინ საკავშირო ჩემპიონატის მატჩები 450 ათასმა კაცმა ნახა, შარშან — 600 ათასამდე გულშემატკივარმა. დარწმუნებული ვართ, პროგრესი წლეულსაც შესამჩნევი იქნება ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ წლევანდელი სეზონი მსოფლიო ჩემპიონატის სეზონია. სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემლები კი გულისყურით ეკიდებიან არა მარტო ნაკრების მზადებას, არამედ იმ გუნდების გამოსვლებსაც, რომლებიც კადრებს უმზადებენ ნაკრებს.

წლეულს, ისევე როგორც შარშან, ყველაზე დიდი აუდიტორია კალათბურთს თბილისში ჰყავს. ჩემპიონატის სამ კალენდარულ მატჩში თბილისის სპორტის სასახლე 18.500 მაყურებელს მოემსახურა. 8.500 გულშემატკივარი მიიზიდა ადგილობრივი „ბურევესტნიკის“ ორმა მატჩმა და 10.000 — დინამოელთა ერთადერთმა შეხვედრამ კიევის არმიელებთან.

მაყურებელთა სიმრავლით მეორე ადგილზეა კაუნასი: „ჟალგირისის“ სამ მატჩს ამ ქალაქში 14.500 მაყურებელი დაესწრო.

კიევში, როგორც ცნობილია, ორი საკმაოდ მაღალი კლასის გუნდია. ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მათგანი — „სტროიტელი“ ჯერჯერობით I ადგილზეა, ასკ — მესამეზე. ამის მიუხედავად, კიეველი გულშემატკივრები საოცარ გულგრილობას იჩენენ თავიანთი გუნდებისადმი. სხვაგვარად ვერ ავხსნით იმას, რომ უკრაინის დედაქალაქში გამართულ ოთხ შეხვედრას სულ 3.600 მაყურებელი დაესწრო. ეს მიუტევებლად ცოტაა ისეთი ქალაქისთვის, რომელსაც, ამავე დროს, ბრწყინვალე სპორტის სასახლე აქვს.

ახლა ორიოდე სიტყვა მოსკოველ გულშემატკივრებზე. ოთხ მატჩში — 2.500 მაყურებელი. ეს იმას ნიშნავს, რომ კალათბურთი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ნაკლები ყურადღებით სარგებლობს. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ასევე მრავალგზის მფლობელის ცსკა-ს სამ მატჩს მხოლოდ 1900 გულშემატკივარი დაესწრო, დინამოელთა ერთადერთ შეხვედრას კი 600.

ახლა კი გთავაზობთ ცხრილს, რომელიც თვალნათლივ წარმოგვიდგენს კალათბურთის აუდიტორიას ყველა ქალაქში.

ქალაქი	მატჩი	მაყურებელი
თბილისი	3	18.500
კაუნასი	3	14.500
კიევი	5	3.600
ტარტუ	1	3.000
მოსკოვი	4	2.500
რიგა	2	1.550
სვერდლოვსკი	3	1.250
ლენინგრადი	1	1.200
ალმა-ათა	2	800
სულ	24	46.900

24 მატჩი — ეს ფაქტიურად ჩემპიონატის ერთი მერვედია. სსრ კავშირის XXXVII პირველობის 24 კალენდარულ შეხვედრას მოემსახურა 43 მსაჯი (ხუთმა არბიტრმა 2-2 მატჩი იმსაჯა).

კალენდარულ შეხვედრებში ყველაზე მეტად მოსკოველი მსაჯები არიან დაკავებული. ჩემპიონატს უკვე 13 მოსკოველი მსაჯი მოემსახურა. (ი. დოხალოვი, ვ. კასატიკოვი, მ. დავიდოვი, ო. კამიშევი, ა. კანიუკოვი, ა. კოკარევი, ა. მაგანეტი, ა. მამიკონიანი, ფ. კეროხონი, გ. ივანოვი, მ. სტეპანოვი, ა. ჟოლენძი, მ. გრიგორიევი).

საკავშირო ჩემპიონატში 4-4 მსაჯით არიან წარმოდგენილი ლენინგრადი (ი. აპოლონოვი, მ. ქურიძე, ს. აფანასიევი, ვ. შამისი), კიევი (ვ. სამოლიუბოვერი, ე. ტრეგუბოვი, გ. პარფენიუკი, ვ. ხრომუშინი) და ტალინი (ა. აგაფონოვი, ა. კიაბი, ა. კუუსკვერე, კ. პილუვერი); 3 მსაჯით — თბილისი (რ. ხომერიკი, ა. ქიქოძე, კ. კალანდაძე), 2-2 მსაჯით — ვოლგოგრადი (ი. ტუაევი, ლ. არსლანოვი), რიგა (ი. სილინში, ი. დანევიჩი), ერევანი (ა. ამამჯანი, ვ. არუთინიანი), მინსკი (ლ. როზინსკი, დ. ზვადელსკი), თითო მსაჯით — ყაზანი (ი. პოზნიაკი), ოდესა (ლ. ფლიგელმანი), ტარტუ (ა. ალა), ვილნიუსი (ი. იანკაუსკასი), კაუნასი (ფ. რუჩინსკასი), როსტოვი (მ. ბელიაევი) და სვერდლოვსკი (ვ. ერემეევი).

ხუთმა არბიტრმა იმსაჯა 2-2 კალენდარულ შეხვედრაში. ესენი არიან: ი. ტუაევი, ი. აპოლონოვი, ს. აფანასიევი, ა. კიაბი და ა. ალა.

უმასპინძლეს უმაღლესი ლიგის დებიუტანტს

ამ დღეებში ცხინვალს სტუმრად ეწვივნენ უმაღლესი ლიგის დებიუტანტები — ორჯონიკიძის „სპარტაკის“ ფეხბურთელები, რომლებმაც ამხანაგური მატჩი გამართეს ადგილობრივ თანაკლუბელებთან.

მართალია, ორივე გუნდს აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, მაგრამ თამაში საინტერესო გამოდგა. შესვენებისთვის ანგარიში იყო 1:1. შემდგომში მასპინძლებმა 3 ბურთი გაიტანეს, მაგრამ მათგან მხოლოდ 1 მეტოქის კარში, ხოლო 2 — საკუთარში და დამარცხდნენ — 2:3.

მატჩის შემდეგ პედაგოგიური ინსტიტუტის საქტო დარბაზში მოეწყო შეხვედრა სტუმრებთან. საინტერესოა, რომ ორჯონიკიძის „სპარტაკში“ ამჟამად თამაშობს ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლის 6 აღზრდილი: ნ. პაპელიშვილი, ი. ბიჭიკოევი, ი. ძაგოევი, ა. ფლიევი, უ. ჯიოევი და თ. კოჩიევი.

ვ. მელქოევი.

(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

[illegible]

ოჩამჩირე

ჩატარდა მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მძლეოსნობასა და ფეხბურთში. ორივე სახეობაში გამარჯვება მე-2 სკოლის გუნდებს დარჩათ.

* * *

გალის სპორტსკოლის გუნდები ოჩამჩირელებს ეწვივნენ და აქ ამხანაგური შეხვედრები ჩაატარეს კალათბურთსა და ხელბურთში. კალათბურთელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სტუმრებმა, ხოლო ხელბურთში — მასპინძლებმა.

რ. ჟღენტი.



1070

ამოცანა. გუნდში 20 კაცია. ოცივეს წლოვანების საერთო ჯამი უდრის 1070 წელს. რამდენი წლისაა თითოეული?

ასეთ არითმეტიკულ ამოცანას ხშირად შევხვდებით მესამეკლასელთა სახელმძღვანელოს ფურცლებზე. ამოხსნა მაინცდამაინც ძნელი არ უნდა იყოს: 1070:20 = 53,5.

პასუხი უშეცდომო იქნებოდა, ეს ოცი კაცი ერთ წელიწადს რომ იყოს დაბადებული. მაშ რა ვქნა, როგორ მივაგნო სწორ პასუხს?

გასულ შაბათს უნივერსიტეტის ბაღში ერთ სკამზე მოკალათებულ პატარა გელას ეს აწუხებდა და ყურადღებით ჩაჰკირკიტებდა არითმეტიკის სახელმძღვანელოს. ამოცანა ამოუხსნელი რჩებოდა. სწორედ ამ დროს ეზოში დინჯი ნაბიჯით შემოვიდა 20-კაციანი ჯგუფი. გელამ დათვალა და სიხარულით ცას ეწია.

— თქვენ რამდენი წლისა ხართ? — ჰკითხა მან ერთ-ერთ მათგანს.

— ორმოცდაცხრამეტის, — ასეთი იყო პირველის პასუხი.

— ორმოცდაჩვიდმეტის...

— ორმოცდათხუთმეტის...

— ორმოცდათოთხმეტის...

გელამ ყველას წლოვანება შეკრიბა და დახეთ საკვირველებას! ზუსტად 1070 წელი გამოვიდა. გახარებულმა ბიჭუნამ შინისკენ მოკურცხლა, ძიებმა კი სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღეს და მხიარული გუნებით დატოვეს უნივერსიტეტის ბაღი.

ბოდიშს ვუხდით მკითხველებს მათთვის ამ გაუგებარი დასაწყისის გამო. პატარა გელას ამოცანის სწორად გადაწყვეტაში დაეხმარა საქართველოს 1939 წლის ჩემპიონი — თბილისის უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც გასულ შაბათს საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად მშობლიური სასწავლებლის ეზოში შეიკრიბა.

აქ მოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი ანთაძე, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვალერიან ჯიბლაძე, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ოტია ჟორდანია, ფოთელი გემთმშენებელი იტა ვოიტენკო, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი ალექსანდრე რატია, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი კონსტანტინე კიკნაძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი შოთა ჯოჯუა, სამტრედიის ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორი დიმიტრი შენგელია, ეკონომისტები, ინჟინრები, ფეხბურთის მწვრთნელები მალხაზ გულისაშვილი, ალექსანდრე ნემსაძე, ალექსანდრე კარტოზია, გრიგოლ გელაშვილი, ვლადიმერ ბერძენიშვილი, გრამიტონ მურვანიძე, ბოჩია ნარსია, ბორის ჩიტაია, რევაზ კავსაძე, შალვა იანქოშვილი...

ერთი პატარა უნივერმაღის პატარა დირექტორმა მითხრა, ჩემს გვარსა და თანამდებობას ნუ გამოაქვეყნებთ, თორემ დამსევა ხალხიო. სიამოვნებით ვასრულებ გიორგი ანდღულაძის თხოვნას.

სადღესასწაულო ბანკეტზე მოიგონეს ბევრი ძველი ამბავი, იმხიარულეს, იმღერეს. ამ საღამოს სული და გული გიორგი ანთაძე იყო. ალბათ ბევრ ცნობილ მსახიობსაც შეშურდებოდა მისი იმდღევანდელი იუმორისტული ლექსები, ხუმრობით შელამაზებული მოგონებები.

ამ საინტერესო შეხვედრით ყველა მოგებული დარჩა, დაწყებული პატარა გელადან, დამთავრებული გადამდგარი ფეხბურთელებით.

ზ. ჯაფარიძე.

* * *

სურათზე (მარცხნიდან): სხედან — ი. ვოიტენკო, ი. ახალაძე (მაშინდელი გუნდის გულშემატკივარი), მ. ანდრონიკაშვილი (ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის ყოფილი მუშაკი), გ. ბერიძე (ფიზაღზრდის ყოფილი მასწავლებელი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე), ა. რატია, გ. ანდღულაძე; დგანან — შ. იანქოშვილი, დ. შენგელია, რ. კავსაძე, ვ. ჯიბლაძე, მ. გულისაშვილი, ბ. ნარსია, ვ. ბერძენიშვილი, შ. ჯოჯუა, გ. გელაშვილი, ო. ჟორდანია, კ. კიკნაძე, გ. ანთაძე, ა. ნემსაძე, გ. მურვანიძე, ა. კარტოზია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ახალი ფორმულით

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი, რომელიც დღეს იხსნება, ახალი ფორმულით ჩატარდება. ახლა გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან ტურებში (შარშანდელი პირველობა ტარდებოდა სისტემით — „შინ და გარეთ“).

ტალინში გამოვლენ ცსკა, „რადიოტექნიკი“ (რიგა), „დინამო“ (ირკუტსკი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი), „ბურევესტნიკი“ (ხარკოვი). ისინი მოუდის მასპინძლებთან — „კალევის“ ფრენბურთელებთან ერთად გამართავენ პირველ ტურს.

ალმა-ათაში თავს მოიყრიან ადგილობრივი „ბურევესტნიკი“, ლუგანსკის „ზვეზდა“, კიევის „ლოკომოტივი“, ოდესის „ბურევესტნიკი“, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდი და როსტოვის არმიელები.

სპეციალისტების აზრით, ახალი ფორმულა ხელს შეუწყობს საწვრთნელი პროცესის უფრო ზუსტად დაგეგმვას, დამქანცველ მოგზაურობაზე ძალის ნაკლებად ხარჯვას. ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებს მიეცემათ საშუალება, რომ კანდიდატები გამუდმებით მხედველობის არეში ჰყავდეთ.

უმაღლესი ლიგის ძველ მკვიდრებთან ერთად, რომელთა შორისაც ჩვენი ფრენბურთის გვარდიელები — ოლიმპიური ჩემპიონები გამოდიან, მედლებისთვის იბრძოლებენ ლენინგრადის სპარტაკელები და ირკუტსკის დინამოელები, რომელთაც მეორე ჯგუფის ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა ფრენბურთის ელიტას დაუბრუნდა ლენინგრადის გუნდი. ეს ქალაქი ხომ ამ რამდენიმე წლის წინ ფრენბურთის ერთ-ერთი ცენტრი იყო ჩვენში. ამ კოლექტივში არის სოლოვიოვი — სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტი, ახალგაზრდა თავდამსხმელი ა. ვიჭაჩოვი.

ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია, რომელიც ესტონეთის დედაქალაქში მოეწყო, სპარტაკელებისთვის წარმატებით წარიმართა. პროფკავშირული გუნდების ტურნირში მათ გაუსწრეს ვერცხლის პრიზიორს — კიევის „ლოკომოტივს“ და ოდესელ სტუდენტებს.

საბჭოთა ფრენბურთის რუკაზე ირკუტსკი განსაკუთრებით უნდა იყოს აღნიშნული. ადრე ამ ქალაქს სახელი გაუთქვეს ქალებმა, რომლებმაც ქვეყნის ვერცხლის ლაურეატობა მოიპოვეს, ახლა კი უძლიერესთა ბრძოლაში ვაჟებიც ჩაებნენ.

რასაკვირველია, მსაჯების პირველ სასტვენამდე ძნელია რაიმე დასკვნის გამოტანა, მით უმეტეს, რომ კოლექტივები ახალი ფორმულით იბრძოლებენ. გუნდების უმეტესობის შემადგენლობაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მხოლოდ შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის „რადიოტექნიკის“ სამმა ვეტერანმა — სასტარტო ექვსეულის სამმა მოთამაშემ დატოვა სარბიელი.

საფრენბურთო მარათონის ფინიში შუა აპრილში მოეწყობა (ყოველი კოლექტივი 33 შეხვედრას ჩაატარებს).

საბჭოთა ფრენბურთელების საერთაშორისო კალენდარში ცენტრალური მოვლენა იქნება მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც სექტემბრის დამლევს და ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება ბულგარეთის ცნობილ სპორტულ და საკურორტო ქალაქ ვარნაში. მანამდე საბჭოთა ნაკრების ხელმძღვანელებს დაგეგმილი აქვთ შეხვედრები მთავარ მეტოქეებთან.

ქვეყნის ახალი ჩემპიონი — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) გაისად თებერვალში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში ჩაებმება. ყაზახეთის სპორტსმენები სტარტს მერვედფინალიდან დაიწყებენ. მათი პირველი მეტოქე იქნება პარიზის „რესინგი“.

[illegible]

ოსტატის შედეგით

ზუგდიდსა და წალენჯიხაში გაიმართა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა მრგვალ სტენდზე და ადგილიდან სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ ზუგდიდის, წალენჯიხის, ბათუმის, მახარაძისა და ქობულეთის რაიონების სპორტსმენები.

ზუგდიდში მრგვალ სტენდზე სროლაში თავი ისახელეს მასპინძლებმა: I ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ლ. შეროზიამ, II — სპორტის ოსტატმა ა. ქირიამ, III — სპორტის ოსტატობის კანდიდატმა პ. ნარმანიამ.

წალენჯიხის სასროლეთზე ადგილიდან სროლაში პირველობა მოიგო სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ვ. თოფურიამ (წალენჯიხა), რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. II ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა პ. ნარმანიამ (ზუგდიდი), III — ი. გაბელიამ (წალენჯიხა).

ბ. ალშიბაია.

(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.









„ეს ძალოსნობაა!“

ასე ჰქვია ახალ კინოსურათს, რომელიც დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში შექმნა რეჟისორმა ვ. კონოვალოვმა ოპერატორ ლ. მიხაილოვთან ერთად.

— პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, — მოგვითხრობენ ფილმის ავტორები, — ჩვენს ჯგუფს უნდა გადაეღო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთა შეჯიბრებაში ზოგიერთები მხოლოდ ფიცარნაგზე გამოსვლების მოსაწყენ ჯაჭვს ხედავენ: ასწია თუ ვერ ასწია... მაგრამ ჩვენ ვნახეთ ამ დაძაბული სპორტული ბრძოლით გატაცებული ათასობით ადამიანი და ვეცადეთ გადმოგვეცა ყველაზე დამახასიათებელი, ზოგჯერ დაფარული ემოციები ჩემპიონატისა, სპორტსმენთა ერთმანეთთან და კილოგრამებთან ბრძოლის ეპიზოდები.

ფილმის ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სპორტული მეტოქეების ფსიქოლოგიას, ძალოსანთა შინაგან მდგომარეობას გამარჯვებისთვის ბრძოლის დროს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ წონით კატეგორიებს, სადაც მეტოქეობა განსაკუთრებით დაძაბული იყო.

ყველა გრძნობა და განცდა, რაც ამ ჩემპიონატს თან ახლდა, უკან დარჩა. მაგრამ როცა კინოდარბაზში შუქი ქრება და ეკრანზე გამოჩნდება პირველი წარწერები, ეჭვი არ არის, რომ ძალოსნობის მოყვარულებს კვლავ დაეუფლებათ აღელვება.

ჩვენს წინ გაივლიან მსოფლიოს უძლიერესი ძალოსნები. მაგალითად, ეკრანი გვაცნობს ჩემპიონატის მასპინძლებს — პოლონელ სპორტსმენებს.

— თითოეულ დიდ შეჯიბრებას, — ყვება რეჟისორი ვ. კონოვალოვი, — თავისი კერპები ჰყავს. ვ. ბაშანოვსკი უდავოდ ერთ-ერთი მათგანია. შეჯიბრებამდე 3 თვით ადრე მას უბედურება შეემთხვა: საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა, მეუღლე დაეღუპა და თვითონაც დაშავდა... მაგრამ ბაშანოვსკის არ შეეძლო ბრძოლაზე უარი ეთქვა. იგი პოლონეთის ნაკრების კაპიტანი იყო და ათასობით გულშემატკივრის იმედი. მას ამ ჩემპიონატში ღირსეული მეტოქეები არ გამოუჩნდა.

საბჭოთა ძალოსანი ვ. კურენცოვი პირველობის ერთ-ერთი გმირია. ერთმა პოლონელმა ჟურნალისტმა მის შესახებ თქვა: კურენცოვს დიდი სპორტსმენის ყველა ღირსება აქვს, აკლია მხოლოდ ერთი — ღირსეული მეტოქეები.

აი, ჩვენს წინ არიან ი. ტალტსი (სსრ კავშირი) და რ. ბედნარსკი (აშშ). ამ სპორტსმენთა გამოსვლა მოთხრობაა მეტოქეობის ფსიქოლოგიის შესახებ, შეჯიბრების იმ ზამბარების შესახებ, რაც მაყურებელთა დარბაზისთვის უცნობია. ტალტსი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში. ეს იყო ნამდვილი სპორტული გმირობა!

ატაცში თავი გამოიჩინა ს. ბატიშჩევმა — მსოფლიო ჩემპიონატის ახალბედამ. ეს იყო მისი პირველი ოქროს მედალი ასეთ დიდ შეჯიბრებებში. მაგრამ მაინც ზემძიმე წონაში ყველაზე ძლიერი ამერიკელი ჯ. დიუბი გამოდგა.

მაყურებელი გაეცნობა ჩემპიონატის კიდევ ერთ გმირს — იაპონელ მ. ოუტის.

ფილმში შევიდა ბევრი საინტერესო, დაძაბული კადრი იმ დიდი შეჯიბრებიდან, სადაც საბჭოთა ძალოსნების გუნდმა მსოფლიოში უძლიერესის სახელი შეინარჩუნა.

ვ. რატომსკაია.

მოსკოვი.

* * *

სურათებზე: კადრები კინოფილმიდან „ეს ძალოსნობაა!“ (ზევიდან) — ვ. ბაშანოვსკი, ვ. კურენცოვი, ი. ტალტსი და ჯ. დიუბი.

ახალი ამბები

● **ფუკუოკა**, 9 დეკემბერი. კანადელმა სტუდენტმა, 24 წლის ჯ. დრეიტონმა ყველას აჯობა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო მარათონში, რომელსაც იაპონიის უდიდესი გაზეთი „ასახი“ ატარებს. მძლეოსნობის სპეციალისტთათვის აქამდე უცნობმა დრეიტონმა 42 კმ და 195 მ 2 საათში, 11 წუთსა და 12,8 წამში გაირბინა. ძლიერ წვიმაში იგი სტარტიდან ფინიშამდე ლიდერობდა შეჯიბრებას. II ადგილი დაიკავა ინგლისელმა რ. ჰილმა — 2:11.54,4, III — იაპონელმა ტანიმურამ — 2:12.03,4. შეჯიბრების ფავორიტს, მარათონულ რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონს მ. ვოლდეს (ეთიოპია) ფეხი ეტკინა და ასპარეზობას თავი მიანება.

● **ობერსტდორფი, 9 დეკემბერი.** დასავლეთ გერმანიის ამ საკურორტო ქალაქის გარეუბანში გამართულ პირველ სათხილამურო რბოლას „უცნობი“ გამარჯვებული ჰყავს: გფრ-ის უძლიერეს მოთხილამურეთა შორის უწინ არასდროს უხსენებიათ გ. ვინცენიკის სახელი. მან კი აიღო და აჯობა ორჭიდში ოლიმპიურ ჩემპიონს ფ. კელერს — 10-კილომეტრიანი დისტანცია 32 წუთსა და 9 წამში დაფარა. II ადგილზე გასული კელერი გამარჯვებულს 43 წამით ჩამორჩა.

● **მილუოკი**, 9 დეკემბერი. აშშ-ს ამ ქალაქის მახლობლად 1970 წლის 21-22 თებერვალს სპორტის ისტორიაში პირველად გაიმართება ქალთა და ვაჟთა შეჯიბრება მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის პირველობაზე სპრინტერულ მრავალჭიდში. ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი უკვე განაცხადეს 12 ქვეყნის (მათ შორის, სსრ კავშირის) ციგურაობის ფედერაციებმა.

● **ტალინი, 9 დეკემბერი.** აქ დამთავრდა მხატვრული ტანვარჯიშის ლენინგრადელი, კიეველი და ადგილობრივი ოსტატების სამატჩო შეხვედრა. პირად ტურნირში გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, კიეველმა ლ. სერედამ.

● **პალმა-დე-მალიორკა**, 9 დეკემბერი. ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XIII ტურში ლიდერებმა — მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა და დანიელმა დიდოსტატმა ბ. ლარსენმა აქტივში ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს: პირველი არგენტინელ ო. პანოსთან დაზავდა, ხოლო მეორე — ესპანელ ა. პომართან. XIV ტურმა ერთპიროვნული ლიდერი კვლავ პეტროსიანი გახადა, რომელმაც დაამარცხა ესპანელი ხ. კორალი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს 9,5 ქულა აქვს. ლარსენმა მეორედ გადადო პარტია რ. ტორანთან (ესპანეთი). მოგების შემთხვევაში იგი პეტროსიანს დაეწევა. ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა ვ. ჰორტმა მოუგო ინგლისელ ჯ. პენროუზს და ახლა 9 ქულა აქვს. ვ. კორჩნოიმ დაამარცხა ბრაზილიელი ე. მეკინგი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ — უნგრელი ლ. საბო. ორივე საბჭოთა დიდოსტატს 8,5-8,5 ქულა აქვს. ტურნირის დამთავრებამდე დარჩა 3 ტური. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლიდერების — პეტროსიანისა და ლარსენის შეხვედრა, რომელიც ხვალ გაიმართება.

ახალი ამბები

20^{45}

● სილაგაძის 3 გოლი

● 2,5 პლუს 2,5

● რ. ბრუხი შვეციის № 1 სპორტსმენი

◆ **ბეირუთი**, 10 დეკემბერი. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში თავიანთი ტურნეს ბოლო მატჩი მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა აქ ლიბანის კლუბების — „რესინგისა“ და „ნეიმის“ ნაკრებთან გამართეს და გაიმარჯვეს — 7:2 (4:0). მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს: სილაგაძემ (3), პაპაევმა, ჰუსაინოვმა, იანკინმა და... ლიბანელთა ერთ-ერთმა მოთამაშემ.

◆ **ბელგრადი**, 10 დეკემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო შეჯიბრების — „განთავისუფლების ტურნირის“ VIII და IX ტურებში გადადებული პარტიების დამთავრებამ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მ. ბოტვინიკს იმდენი ქულა მოუტანა, რამდენიც მანამდე ჰქონდა, ე. ი. 2,5. საბჭოთა დიდოსტატმა დაამარცხა იუგოსლაველები ა. მატანოვიჩი და პ. ოსტოიჩი და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ გ. ტრინგოვთან. შეჯიბრებას 6-6 ქულით ლიდერობენ ს. გლიგორიჩი, მ. მატულოვიჩი (ორივე — იუგოსლავია) და ლ. ლენდიელი (უნგრეთი). 5,5-5,5 ქულა აქვთ ე. გელერს, ლ. პოლუგაევსკის (ორივე — სსრ კავშირი) და ბ. ივკოვს (იუგოსლავია).

◆ **სტოკჰოლმი, 10 დეკემბერი.** ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელმა, ბადროს მტყორცნელმა რ. ბრუხმა წლევანდელი სეზონის შედეგების მიხედვით შვეციის უძლიერეს სპორტსმენთა ათეულის სიის პირველი სტრიქონი დაიჭირა. 25 წელია აქ ამგვარ ანკეტას აწარმოებენ და ამდენი ქულა — 937 — არასდროს არ მიუღია არავის. სიაში II ადგილზეა ველოსიპედისტი გ. პეტერსონი, III — ათროსანი ბ. პეტერსონი. სხვა ცნობილი სპორტსმენებიდან დასახელებული არიან მოციგურავე ე. კლასონი, ქვეყნის ჰოკეისტთა ნაკრების კაპიტანი უ. სტერნერი, მაგიდის ჩოგბურთელი, წყვილთა თანრიგში მსოფლიო ჩემპიონი ჩ. იუჰანსონი.

როცა გაზეთი
დაიბეჭდა
მზად იყო...

ლიდერი უმატებს ტემპს

კიდევ ერთი, მეცხრე გამარჯვება იზეიმა ოსტატმა თ. ბარამიძემ (რუსთავი) საქართველოს მოშაშეთა პირველობის XI ტურში. მან დაამარცხა ს. პეტროვი (ახალციხე) და 9,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა განიმტკიცა.

ბ. შავერდიან — ზ. ქიტუაშვილის შეხვედრაში თეთრებმა უკეთეს პოზიციაში საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და წააგეს. შავერდიანს 8 ქულა დარჩა.

კარგად ითამაშა ი. სპესივცევმა. მან სძლია ს. თომაშვილს. საინტერესოა, რომ ფინიშის ზღურბლზე თომაშვილმა, რომელმაც დაუმარცხებლად განვლო 9 ტური, ზედიზედ მეორე პარტია წააგო და 7,5 ქულას ვერაფერი შემატა. სპესივცევს 6,5 ქულა აქვს.

წარუმატებლად გამოდიან გამოცდილი ოსტატობის კანდიდატები, ქუთაისელი ი. მოძღვრიშვილი, ვ. ინწკირველი და ვ. ნინუა. მათ XI ტურშიც წააგეს: პირველმა — ჯ. ჯავახიასთან (თელავი), მეორემ — ნ. მოვჩანთან (სოხუმი) და მესამემ — ნ. ძამუნაშვილთან.

ყაიმს დასჯერდნენ ვ. ბახტაძე და შ. თუმანიშვილი.

ბ. ლიტვაკ — გ. ამირხანოვის პარტია არ შედგა. თბილისის მეტროპოლიტენის დიდუბის სადგურის მორიგე ამირხანოვი უკვე მესამე შეხვედრას აცდენს. საქმე ისაა, რომ იგი შეჯიბრების პერიოდში სამსახურიდან არ გაათავისუფლეს. მას მხოლოდ სტარტზე ეყო ძალა — ღამით ემუშავა და დილით ტურნირში ეთამაშა (5 ტურში 4 ქულა მოაგროვა). ნუთუ მეტროპოლიტენის ექსპლოატაციის დისტანციის უფროს შ. დონდუას არ შეეძლო, თუნდაც ბოლო დღეებში, ხელი შეეწყოს ნიჭიერ მოშაშეს ტურნირის ნორმალურად დამთავრებაში?!

თ. ნინოშვილი.

შაში

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის
სპორტული
აფიშა

სამბო. ფალავანთა კლუბი. **11-15** დეკემბერი. პროფკავშირების საკავშირო ტურნირი. დასაწყისი 11 და 18 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 11540